ხელშეკრულება N 284
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(კონსოლიდირებული ტენდერი №CON130000012)

ქ. თბილისი

6 ნოემბერი 2013 წელი

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი შემდგომში წოდებული "შემსყიდველად", წარმოდგენილი თავმჯდომარის პირველი მოადგილის ნუკრი ლოლაძის სახით და შპს „იუ ჯი თი" შემდგომში წოდებული "მიმწოდებლად", წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ერმილე სულაძის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც "მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობისა და "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 20^2 მუხლის მე-4 პუნქტის, ,,სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 01 მარტის N218 განკარგულებისა და ,,სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 7 მარტის N8 ბრძანების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – "ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 "დღე", "კვირა", "თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 "შემსყიდველი" _ ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 "მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 "საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

დანართი N1-ში მითითებული 10 (ათი) ცალი სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერის (ლეპტოპი) შესყიდვა (CPV-30213100).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **7 890 (შვიდიათას რვაას ოცდაათი)** ლარს.
3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ში აღნიშნული საქონლის მიწოდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 45 (ორმოცდახუთი) დღის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, პოლიციის ქ#10.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

g) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება);

ბ) განახორციელოს ანგარიშსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხარისხი და გარანტია

5.1 საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს, ხოლო მიწოდებული საქონელი უნდა იყოს იდენტური ხელშეკრულების დანართი N1-ში აღნიშნული მაჩვენებლების.

5.2 ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრულ საქონელზე გარანტია ვრცელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში.

6. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება), რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს (სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამმართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების ინსპექტორი ზურაბ ბიწაძე, მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის მომარაგების განყოფილების შტატგარეშე მოსამსახურე ელგუჯა კუბიაშვილი), ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ინსპექტირების განხორციელების დროს.

6.2 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში გამოასწოროს წუნი.

7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის (მომსახურების) მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი რჩება საწყობში, ერთი - მიმწოდებელთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი - სასჯელაღსრულების დეპარტამენტში. მიღება-ჩაბარების აქტი დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7.2 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.1. პუნქტში აღნიშნული საამისოდ უფლებამოსილი პირები არიან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცენტრალური საწყობის გამგე და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ეკონომიკური სამმართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების უფროსი კახა ფიფია.

7.3 მიღება ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს შესყიდვის ობიექტის დასახელება, რაოდენობა, განზომილებ, ერთეულის და საერთო ღირებულება.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.
ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამის დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.
10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობის დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წუნდებული საქონლის ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.
10.3 წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით.
10.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
10.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.
12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი – შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სასჯელაღსრულების დეპარტამენტი
გორგასლის ქ. 83ა
ს/კ 204404723
„საქართველოს ეროვნული ბანკი“
ა/ა 200122900
ბ/კ 220101107

მიმწოდებელი:

შპს „იუ ჯი თი“
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №17ა,
ტელეფონი: 2 22 05 05
ანგ.GE88 BG00 0000 0261 6446 01
სს „საქართველოს ბანკი“
კოდი: BAGAGE22
ს/კ 204 892 964

თავმჯდომარის პირველი მოადგილე

/ნუკრი ლოლაძე/

გენერალური დირექტორი

/ერმილე სულაძე/

„დანართი N 1“

N	შესყიდვის ობიექტის დასახელება	შესყიდვის ობიექტის ძირითადი მახასიათებელი	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერი (ლეპტოპი) **HP Pro Book 4540s Notebook PC**	**Display:** 15.6 LED HD SVA AG FCAM **Camera:** WEBCAM integrated 720p HD **OS:** SuSE LinuX **Processor:** Intel Core i5-3230M Dual core **Memory:** 4GB 1333MHz DDR3 1DM **HDD:** 320GB 5400RPM **ODD:** DVD+/-RW SM DL **Battery:** 6 Cell 47 WHr **Communication:** Ralink 802.11bgn 1x1 +BT WW **AC Adapter:** 65 Watt Smart nPFC AC	ცალი	10	789,00	7890,00
		სულ:				7890,00

„შემსყიდველი“

სასჯელაღსრულების დეპარტამენტი

თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ნუკრი ლოლაძე

„მიმწოდებელი“

შპს „იუ ჯი თი“

გენერალური დირექტორი

ერმილე სულაძე